## 30.10
20:00

### „იულიუში“
რეჟისორი: ალექსანდერ პიეტშაკ, 2018, 97 წთ.



მთავარი გმირი, იულიუში, მოსიარულე უბედურებაა, რასაც კი ხელს მოკიდებს ყველაფერს ფერფლად აქცევს. აქვს პირადი პრობლემებიც, უვლის ხელაღებულ ავადმყოფ მამას, რომელსაც ორი ინფაქტის მუხედავად არ უნდა შეცვალოს თავის ცხოვრების სტილი. ამ ორი მამაკაცის ცხოვრებას კი, უცაბედად გამოჩენილი ვეტერინარი ქალი დოროტა შეცვლის.

## 31.10
18:00

### „მაწანწალათა კლუბი“
რეჟისორი: ტომაშ შაფრანსკი, 2015, 98 წთ.



კორნელი და მაქსი არდადეგებს კომპიუტერის ეკრანთან ატარებენ და არ ფიქრობენ მოსაწყენ რეალობაში დაბრუნებაზე. ყველაფერს ცვლის მათი ოჯახის „აუტსაიდერის“, ბიძია დიონისეს უეცარი სტუმრობა. არაპროგნოზირებადი ნათესავი ბიჭებს ნამდვილ სამყაროში აბრუნებს, სამყაროში, რომელიც სავსეა მოულოდნელი მოვლენებითა და უჩვეულო პერსონაჟებით. მათი ხელმძღვანელობით მაწანწალათა კლუბი იწყებს მოგზაურობას, რომლის მიზანიცაა კორნელის დიდი ბაბუის მიერ წლების წინ დამალული საგანძურის პოვნა. საქმე რთულდება მაშინ, როცა განძის საძებნელ ბილიკზე ეშმაკი ბანდიტები ჩნდებიან.

## 31.10
20:00

### „მარია სკლოდოვსკა-კურიე“
რეჟისორი: მარია ნოელე, 2016, 100 წთ.



არაჩვეულებრივი ქალბატონის ისტორია, რომელმაც არ იცის გაყვეს თუ არა გულის შინაგან ხმას, მაღალი დონის ინტელიგენციის და ცოდნის მეშვეობით განაპირობებს მსოფლიო მეცნიერების კეთილგანწყობას, რომელიც დომინირებულია მამაკაცების მიერ. მოქმედება ხდება იმ პერიოდის პარიზში, როდესაც ხდებოდა ხელოვნების გარდატეხა, ამ ყველაფერმა კი მსოფლიო შეცვალა.

# პირველი პოლონური ფილმების ფესტივალი საქართველოში




# ვისლა

## თბილისი
## 28-31 ოქტომბერი, 2019 წელი

აკ. ხორავას სახ. მსახიობის სახლი
მისამართი: ლეონიძის 11ა

**დასწრება თავისუფალია**

პოლონეთის რესპუბლიკის კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის მინისტრის ფინანსური მხარდაჭერით. კულტურული განვითარების ფონდის სახსრებიდან

Ministry of Culture and National Heritage of the Republic of Poland

თანადაფინანსება:
Polski Instytut Sztuki Filmowej
Polish Film Institute

ორგანიზატორი:
Fundacja Wspieram

პარტნიორი:
GRTN
ახმეტელის თეატრი

**28.10**
20:00

## „როგორც ძაღლი კატასთან“
რეჟისორი: იანუშ კონდრატიუკ, 2018, 100 წთ.
ფესტივალის გახსნის ღონისძიება



ოჯახური ურთიერთობის ტკბილი და მწარე სურათი, რომლის სიუჟეტიც ნამდვილი ამბავია. არატიპიური, ირონიული, ოჯახური იუმორის ხედვა, მისი კონფლიქტებით და წინააღმდეგობებით, რომელიც არ არის მოკლებული ნამდვილ ამბავთან სიახლოვეს. ერთ-ერთი ძმა ანდჟეი, მოულოდნელად ავად გახდება, ძმებს შორის არსებული კონფლიქტის მიუხედავად, ის იღებს პასუხისმგებლობას, რომ მოუაროს და დაეხმაროს ძმას.

**29.10**
18:00

## „ბეკშინსკები. ხმისა და გამოსახულების ალბომი“
რეჟისორი: მარჩინ ბორხარდტი, 2017, 80 წთ.



ცნობილი პოლონელი მხატვრის, ზდჟისლავ ბეკშინსკის ცხოვრების 50 წელი, შვილთან, ცნობილ მუსიკალურ ჟურნალისტთან - ტომეკთან რთული ურთიერთობების ისტორია, რომელსაც ჰქონდა დეპრესია და თვითმკვლელობის მრავალი მცდელობა. ეს არის შენაძრწუნებელი ოჯახური დრამა, რომელიც დაზუსტებით გადმოსცემს ბეკშინსკების პირადი არქივის აქამდე გამოუქვეყნებელი აუდიო და ვიდეო მასალების შინაარსს. სცენარი ეფუძნება მაგდალენა გჟებალკოვსკას ბიოგრაფიულ ბესტსელერს „ბეკშინსკები. ორმაგი პორტრეტი ” (2014).

**29.10**
20:00

## „შეწყალება“
რეჟისორი: იან იაკუბ კოლსკი, 2018, 100 წთ.



ამბავს მათი შვილის შვილი იანი ყვება. ჰანნას და იაკუბის შვილი ვაცლავი „ოდროვონჟ“ შევჩიკი, რომელიც იყო ქვეყნის არმიის ჯარისკაცი, მოკლეული იქნა 1946 წლის შემოდგომაზე შინაგანი ძალების მიერ. ახალი მთავრობის დამცირებების შემდეგ, რომელმაც პატივმოყვარეობის გარეშე დატოვა მათი შვილის ცხედარი, ჰანნა და იაკუბი გადაწყვეტენ შესაბამისი პატივი მიაგონ თავის შვილს 500 კილომეტრით დაშორებულ ადგილზე კალვარია პაცლავსკში. მშობლების გზა ომის შემგომ საშინლად ჩაძირულ პოლონეთში ხდება ერთგვარი მეტამორფოზა, ადამიანობის სულის სიღრმეში და ხდება მცდელობა კაცობრიობის ახალი განსაზღვრის მსოფლიოში, რომელშიც მეზობლები ხდებიან ერთმანეთის მტრები, ხოლო მოულოდნელად მტერი შეიძლება გახდეს მოყვარე.

**30.10**
18:00

## სილეზიის რეგიონის, ქალაქ კატოვიცეს უნივერსიტეტის რადიოსა და ტელევიზიის ფაკულტეტის სტუდენტების ფილმები
2018, 101 წთ.

### ელიზაბეტი, რეჟისორი: ვოიჩეხ კლიმალა



ყოფილი მის პოლონეთი, ამჟამად კი პენსიონერი სტილისტი - ელჟბიეტა შვილმა დაითანხმა ასაკოვანი ქალბატონების სილამაზის კონკურსში მონაწილეობაზე. როგორც კი დგება სცენაზე, შიშისგან იყინება ადგილზე. ეშინია, რომ ვერ დაძლევს ახალ გამოწვევას. შიში განსაკუთრებით ძლიერდება მაშინ, როცა იგებს, რომ კონკურსში მონაწილეობას იღებს მისი ყოფილი კონკურენტი.

### ბოლო კლიენტი, რეჯისორი: ანა ურბანჩიკი



ლენა მუშაობს გზისპირა ჰოსტელში ქალაქგარეთ. ერთხელაც, როცა სამსახურში მარტო დარჩა, მის დაწესებულებას უცნობი პირი ესტუმრა. კაცის ქცევა მასში მღელვარებასა და შიშს იწვევს. კლიენტის შემდეგი სიგნალები და რეაქციები მოქმედებათა რიგის გამომწვევი მიზეზი ხდება. ლენა იძულებული ხდება გაუსწორდეს არამხოლოდ უცნობს, არამედ საკუთარ თავსაც.

### მეც მაქვს რაღაც შენთვის, რეჯისორი: ივო კონდეფერი



ევა, შუახნის ქალი, პატიჟებს თინეიჯერ ნიკოლს მის დაბადების დღეზე. ეს შეხვედრა მისი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოცდა გახდება.

### ჩემთან ყველაფერი რიგზეა, რეჯისორი: სილვია როსაკი



როცა ხანგრძლივი არყოფნის შემდეგ ანკა ბრუნდება ქალაქში, ერთადერთი, რაც უნდა არის იმ ყველაფრის დავიწყება, რაც მოხდა ცოტა ხნით მაინც. შეიძლება წარსულისაგან გათავისუფლება? ისტორიას უყვარს განმეორება...

### საოცრება-გოგონები, რეჯისორი: ანასტასია დომბრივკსა



სამყარო, რომელშიც არ არინ უფროსები, არაა ზედამხედველობა და აკრძალვები. ეს ალბათ ყველა თინეიჯერის ოცნებაა, თუ, რაღა თქმა უნდა, უსიამოვნო ვალდებულება არ გახდა. ნიკოლმა და მისმა უმცროსმა დამ - ოლივკამ ეს თავად გამოსცადეს.